

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის  
ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების  
ა ნ გ ა რ ი შ ი**

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსულობების მიმდინარე დაზუსტებული გეგმა იყო 2 682 791 ლარი, ფაქტიურ შემოსავლებმა კი შეადგინა 2 821 380 ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 105.2%-ით.

თუ შევადარებთ გასული 2014 წლის პირველი კვარტლის ფაქტიურ საკასო შესრულებას რომელიც შეადგენდა 2 635 965 ლარს, მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით შემოსულობები 185415 ლარით მეტია შემოსული.

გადასახადების გეგმა შეადგენდა 48700 ლარს, ფაქტიურად შესრულებულია 51564 ლარი ანუ 105.9%-ით, სხვა შემოსავლების გეგმა შეადგენდა 316491 ლარს, შესრულებამ შეადგინა 451459 ლარი, ანუ 142.6%.

გარდა ადგილობრივი შემოსავლების და სხვა შემოსავლებისა, ადგილობრივ ბიუჯეტში დაგეგმილი იყო აუცილებელი ხარჯების დასაფარავად გათანაბრებითი ტრანსფერი, რომლის პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 2 306 700 ლარს, ფაქტიურად მიღებულია 2 306 700 ლარი ანუ 100%. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ჩამოირიცხა 8100 ლარი რაც დაზუსტებული გეგმით არის ასახული.

განვიხილოთ შემოსავლები სახეების მიხედვით - ქონების გადასახადის პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 48700 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 51564 ლარი ანუ გეგმა შესრულდა 105.9%-ით. მათ შორის საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გეგმა შეადგენდა 17500 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 23895 ლარი ანუ გეგმა შესრულდა 136.5%-ით, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გეგმა შეადგენდა 1300 ლარს, შესრულებამ შეადგინა 1394 ლარი, ანუ 107%, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 10900 ლარი, შესრულებამ შეადგინა 6378 ლარი ანუ 58.5%, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გეგმა შეადგენდა 19000 ლარს, შესრულებამ შეადგინა 19897 ლარი, ანუ 104.7 %.

სხვა შემოსავლების 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 316491 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 451459 ლარი, ანუ 142.6%. მათ შორის:

- შემოსავალი სესხის, დეპოზიტის, ვექსელის და სხვა სახის პროცენტებიდან (სარეგებელი) პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 146997 ლარს, ფაქტიურად შესრულებამ შეადგინა 183045 ლარი. ანუ გეგმა შესრულდა 124.5%-ით.

- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან გეგმა შეადგენდა 16500 ლარს. შესრულებამ შეადგინა 12865 ლარი, ანუ 78%;

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან გეგმა შეადგენდა 6200 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ კი შეადგინა 9213 ლარი, ანუ 148.6%

- შემოსავლები მომსახურების გაწევიდან გეგმა შეადგენდა 19000 ლარს, ფაქტიური შესრულებამ შეადგინა 3196 ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 16.8%-ით;

- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) გეგმა შეადგენდა 90564 ლარს, ფაქტიური შესრულებამ შეადგინა 99765 ლარს ანუ გეგმა შესრულდა 110.2 %-ით.

- შემოსავლები არაფინანსური აქტივებიდან გეგმა შეადგენდა 23000 ლარს ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 24151 ლარი. გეგმა შესრულდა 105.2%.

იხილეთ დანართი №1.

2015 წლის ხარჯვითი ნაწილის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3102145 ლარს, ფაქტიურად საკასო შესრულებამ შეადგინა 2 878 858 ლარი, გეგმა შესრულდა 92.8% -ით. იხილეთ დანართი №2.№4

**მათ შორის დარგობრივად:**

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 720716 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 703567 ლარს, ანუ გეგმა შესრულდა - 97.6%-ით.
- **მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯვითი ნაწილი** პირველ კვარტლში გეგმა შეადგენს 32000 ლარს. სულ სარეზერვოდან ფონდიდან პირველ კვარტალში დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტის მასშტაბით 59-ოჯახს მათ შორის: ხანძრის შედეგად დაზარალებულ 2-ოჯახს 3000ლარი, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ 11-ოჯახს ბინის ქირის გადასახადისათვის 9900ლარი, მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ 46-ოჯახს გაეწია დახმარება 18907ლარის ოდენობით. იხილეთ დანართი №3.
- ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ 9 ოჯახს ჩამოერიცხა 8100 ლარი საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფისათვის.

**თავდაცვის სფეროში:**

- პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 24290 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 22046 ლარს, ანუ 90.8%.

**საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

- პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 78750 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 78750 ლარი, ანუ 100%.

**ეკონომიკური საქმიანობა**

პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 63653 ლარს, ფაქტიურ შესრულება კი 0 ლარი, ანუ 0%. **კერძოდ:** დაგეგმილი იყო მძიმე ტექნის თვითმცვლელის შექმნა რაც პირველ კვარტალში ვერ განხორციელდა.

**-გარემოს დაცვა**

- პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 116430 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 105497 ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 90.6 %,

**საბინაო კომუნალური მეურნეობა**

-პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 758094 ლარს, საკასო შესრულება კი 678356 ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 89.5%-ით მათ შორის;

**კომუნალური მეურნეობის განვითარების დონისზიებებზე** პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 411674ლარს ფაქტიურმა შესრულებამ კი შეადგინა 372983ლარი ანუ 90.6%.:  
**წყალმომარაგების დონისზიებებზე** პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 299420ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 278490 ლარი, ანუ ანუ გეგმა შესრულებულია 93. %.:  
**-გარე განათებაზე** პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 47000 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 26884 ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 57.2%.:  
**-ჯანდაცვის სფეროში**  
ჯანდაცვის სფეროში არის 4-(ოთხი) მიზნობრივი პროგრამა, აღნიშნული პროგრამების პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 15983 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შედგინა 10142 ლარი, ანუ 63.5%.

**დასვენება კულტურა და რელიგიის სფეროში**

- პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 346628 ლარს, საკასო შესრულება კი 338026 ლარი ანუ 97.5 %, მათ შორის:

- მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 249500 ლარს, საკასო შესრულება კი 245561 ლარს, ანუ 98.4%: მათ შორის: მიმდინარეობს სპორტკომპლექსის ეზოს კეთილმოწყობითი სამუშაოები. საფეხბურთო კლუბ მაჭახელას პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 95000 ლარს ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 95000 ლარი ანუ შესრულდა 100%.
- მომსახურება კულტურისა სფეროში გეგმა შეადგენდა 91478 ლარს, საკასო შესრულება კი 87699 ლარს, ანუ 95.9%.

**განათლების სფეროში**

- პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 901374 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 870043 ლარი, ანუ 96.5%, მათ შორის:
  - **სკოლამდელი აღზრდა - გეგმა** შეადგენდა 757774 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 734263 ლარს ანუ გეგმა შესრულებულია 96.9%-ით,
  - **საშუალო ზოგადი განათლება გეგმა** 23120 ლარი ფაქტიური შესრულება კი 23120 ლარს ანუ გეგმა შესრულებულია 100%-ით,
  - **სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში გეგმა** შეადგენდა 120480 ლარს ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 112660 ლარი. ნუ გეგმა შესრულებულია 93.5%.
  - **სოციალური დაცვის სფეროში**
  - პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 70415 ლარი, ფაქტიურ საკასო შესრულებამ შეადგინა 66620 ლარი, ანუ 94.6%, მათ შორის:
  - სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას (**უფასო სასაღილოები**) –**გეგმა** შეადგენს 3840 ლარს, საკასო შესრულება კი – 3513 ლარს, ანუ 91.5%,
  - **სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში გეგმა** შეადგენდა 66575 ლარს, შესრულება კი 63107 ლარს, ანუ 94.8%.
- ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 5 273 628 ლარს ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის შეადგინა 5 216 149 ლარი,
- რაც შეეხება აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებელს 92.8% რომელიც შესრულებულია პირველი კვარტლის მდგომარეობით დადებითია.

ხელვაჩაური მუნიციპალიტეტის გამგებლის  
მოვალეობის შემსრულებელი

ნ. ხალვაში

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ტ. ნაკაშიძე